

ფონდი მოგვითხარ პირობა გონივ

287 1 ედ. ხრ 30

ფონდი 287 1 ედ. ხრ 30

საქართველოს ეროვნული
ბიბლიოთეკის ფონდი

დასკვნის დადგენის
14.01.2025 20

79.

ქეტის განკითარების ხერხებს, მაგრამ ყოველივე ეს მწერლის კონკრეტი მასალისაგან მოწყვეტით არის შესრულებული და ამიტომ ზოგად-თეორიული მსჯელობის ხასიათს ატარებს, რაც, ცხადია, საკმარისი არ არის.

წიგნის იმ ნაწილში, რომელშიაც ავტორის მიერ გოგებაშვილის პოეტიკის ზოგადი ბუნება განხილული, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პეიზაჟის ადგილის საკითხი დიდი პედაგოგის მხატვრულ შემოქმედებაში.

პროფ. თავზიშვილის აზრით, „პეიზაჟი გოგებაშვილის ნაწარმოების მქმედი ფაქტორია, ის იწვევს პერსონაჟის ხასიათისა და განცდის ცვალებადობას და ადამიანის სულიერი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად გვევლინება“.

წიგნის ავტორის ამ სწორ დასკვნას ჩვენ დავუმატებდით მხოლოდ იმას, რომ ბუნება მქმედი ფაქტორის როლს ასრულებდა არა მარტო გოგებაშვილის გმირების, არამედ თვით მწერლის შემოქმედებითი ცხოვრებაშიც. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ ერთი დეტალი, ცნობილი ქართველი მოღვაწის, ილია ნაკაშიძის მაგონებებიდან.

„ერთხელ ვინახულე ავადმყოფი იაკობი, — გადმოგვეცემს ილია ნაკაშიძე, — ვესაუბრე ჩემი ნაწერების შესახებ და ვუამბე, რომ ვწერ და ვკითხულობ მინდვრად, ტყეში, წყლის პირად, გაშლილი ცის ქვეშ“.

„მეც ასე დავწერე ჩემი „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“, მიმქონდა ტყეში და მინდორში მასალა, იქ ვაწყობდი, ვალაგებდი და ვწერდიო“, — უთქვამს იაკობს ილია ნაკაშიძისათვის.

ამ სიტყვებში ნათლად სჩანს, თუ შემოქმედების როგორი უშრეტი წყარო ყოფილა გოგებაშვილისათვის ბუნების კალთა. ის გასაგებ ხდის „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ ავტორის მიერ ბუნების სიმშვენიერის იმ ვეჯასებურ განცდას, რომელიც ასე მძაფრად იგრძნობა მის მხატვრულ ქმნილებებში.

ბავშვის სულიერი ცხოვრების მრავალი დაფარული, ინტიმური მხარე გააშუქა იაკობ გოგებაშვილმა თავის შესანიშნავ ფსიქოლოგიურ მოთხრობებში, რომელთა შორის მარად ჩაუქრობელ ვარსკვლავად კიაფობს ქართველი ახალგაზრდობისათვის უსაყვარლესი „იანანამ რა ჰქმნა?“.

საბავშვო ლიტერატურაში, ალბათ, ცოტა მოიძებნება ზემოქმედების ასეთი ძალის სხვა ნაწარმოები.

ჭეშმარიტად გასაოცარია ის სისწორე, რომელსაც იაკობ გოგებაშვილი ამჟღავნებს აქ ადამიანის სულიერი ცხოვრების კანონზომიერების დაჭერაში.

ამ ნაწარმოებში ქეტოს „მობრუნების“ ამბავის წმინდა ფსიქოლოგიური ახსნა აქვს მოცემული თავის შრომაში პროფ. თავზიშვილს. უნდა ითქვას გადაჭრით, რომ ამ მეტად საინტერესო საკითხს წიგნის ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს და დაწვრილებით განიხილავს მას. ე. წ. ასოციაციის კანონის მიხედვით.

ჩვენის აზრით კი, იმას, რაც გოგებაშვილმა ქეტოს „მობრუნების“, მისი სულიერი გარდატეხის მიზეზად გაგვითვალისწინა, თანამედროვე ფსიქოლოგიაში ყველაზე უფრო განწყობის ცნება ასახავს და ამხ. თავზიშვილსაც, ვფიქრობთ, იგი უნდა მოემარჯვებინა ამ შემთხვევაში.

ქართული მხატვრული ლიტერატურისა და პედაგოგიკის ისტორიაში იაკობ გოგებაშვილი იყო პირველი საბავშვო მწერალი.

პროფ. თავზიშვილის სარეცენზიო წიგნიც პირველი მონოგრაფიული შრომაა, რომელშიაც დიდი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით განხილულია დიდი ქართველი პედაგოგისა და მწერლის მხატვრული შემოქმედება.

ეს წიგნი უეჭველად დროული და კარგი საჩუქარია ქართველი მკითხველისათვის.

ვლადიმერ ზამბახიძე.

კ. დ. უშინსკი ქართულ ენაზე

X 4 *

რუსული კლასიკური პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში კ. დ. უშინსკის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. პედაგოგიკამ, როგორც მეცნიერებამ აღზრდისა, სწავლებისა და განათლების შესახებ თავისი სრულყოფილი სახე

უშინსკის პედაგოგიკურ მოძღვრებაში მიიღო. ამიტომ ითვლება იგი რუსული მაწინავე, პროგრესული პედაგოგიკის მამამთავრად, მის ფუძემდებლად. ბელინსკის, გერცენის, დობროლუბოვისა და

სხვ. პროგრესულ მოაზროვნეთა იდეებზე აღზრდილმა უშინსკიმ შექმნა სრულიად ახალი, წინააღმდეგობის რადიკალურად განსხვავებული პედაგოგიკური სისტემა, აღზრდისა და გახათლები თანამედვერული მეცნიერული თეორია, რომელიც გაუდენთილია ღრმა ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის, ხალხურობისა და დემოკრატიზმის პრინციპებით. უშინსკის მდიდარი სამეცნიერო და პედაგოგიკური მემკვიდრეობა უმნიშვნელოვანეს საგანძურს წარმოადგენს ჩვენი ხალხის მეცნიერული აზროვნების ისტორიაში; იგი ახლობელი და ძვირფასია მრავალეროვანი სოციალისტური საზღვარგარეთ ყველა ხალხისათვის, კულტურისა და მეცნიერების დარგის ყოველი მოღვაწისათვის.

ბავშვის სულიერი სამყაროს ღრმად შეცნობისათვის, ადამიანის ხასიათისა და ნებისყოფის, პატრიოტული იდეებისა და ჰუმანიური გრძნობების აღზრდისათვის, უშინსკის პედაგოგიკურ შრომებს, მის მთელ პედაგოგიკურ მემკვიდრეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ შრომებში ყოველი საბჭოთა მწერალი, „ადამიანის სულის ინჟინერი“, ყოველი შემოქმედი აზრის მისთვის საინტერესო მასალას სრულყოფილი, მაღალი მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული პედაგოგიკური აზროვნების განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული პედაგოგიკის დიდი კლასიკოსის კ. დ. უშინსკის სახელთან. ამ დროიდან განუზომლად დიდია ქართველი მეცნიერების საზოგადოებისა და, განსაკუთრებით, სკოლის დარგის მუშაკთა ინტერესი უშინსკისადმი. მაგრამ ამ დიდი მოაზროვნისა და პედაგოგის შეხედულებათა ყოველმხრივ გაცნობას დღემდე აბრკოლებდა ის, რომ ქართულ ენაზე ჩვენ არ მოგვეპოვებოდა მისი კაპიტალური შრომების არც ერთი თარგმანი.

ასეთ ვითარებაში უეჭველად დიდმნიშვნელოვან კულტურულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს კ. დ. უშინსკის რჩეული პედაგოგიკური თხზულებათა ქართულ ენაზე გამოცემა, რომელსაც 1948 წლიდან შეუდგა საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი (გვერდით განზრახულია რჩეულ თხზულებათა გამოცემა სამ ტომად).

რამდენიმე ხნის წინათ პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დ. ლორთქიფანიძის რედაქციითა და შესავალი წერილით პირველად გამოვიდა კ. დ. უშინსკის რჩეულ პედაგოგიკურ თხზულებათა პირველი ტომი (თარგმანი ლ. კალანდაძისა). ამ ტომში შესულია კ. დ. უშინსკის უმნიშვნელოვანესი სტა-

ტიები ბავშვთა აღზრდისა და პედაგოგიკის საფუძველზე, რომელთაც დასაბამი მისცეს ორიგინალურ მოწინავე რუსულ პედაგოგიკას, როგორც ყველაზე პროგრესულ პედაგოგიკის მსოფლიოში.

პროფ. დ. ლორთქიფანიძე თავის შესავალ წერილში „პედაგოგიკის დიდი რუსი კლასიკოსი“ ფართო და ამომწურავ დახასიათებას აძლევს კ. დ. უშინსკის მდიდარ პედაგოგიკურ მემკვიდრეობას, კრიტიკულად განიხილავს მის ფლოსოფიურ და სოციალურ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობას და ცხადპყფის იმ დიდ როლს, რომელიც უშინსკიმ შეასრულა რუსული კლასიკური პედაგოგიკის განვითარებაში, მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში.

„უშინსკის მიერ განვლილი მთელი გზა, — წერს პროფ. დ. ლორთქიფანიძე, — დაწყებული 23 წლის ასაკში მის მიერ დაკავებული პროფესორის თანამდებობიდან ვიდრე მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, არის გზა ჰუმანიტი დემოკრატ პედაგოგისა, რომელიც სწვევტს როგორც ხალხის ერთგული მსახური, ყოველ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხს როგორც განმანათლებელი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით“ (რჩ. თხზულებანი, ტ. I, გვ. VIII).

უშინსკის იდეალი იყო ფართო სახალხო სკოლების გახსნა. ახალი თაობის აღზრდა სამშობლოსადმი სიყვარულის, ეროვნული სიამაყის გრძნობით. მისი მთელი ზრუნვა მიპყრობილი იყო იქითკენ, რომ რუსეთს, რუს ხალხს შეექმნა თავისი საკუთარი პედაგოგიკა, აღზრდის საკუთარი თეორია აგებული თავის ნაციონალურ თვისებებსა და ტრადიციებზე, ჩვეულებებსა და ხასიათზე. ამისა უშინსკის პედაგოგიკური მემკვიდრეობის უდიდესი პატრიოტული ბუნება.

მიხეილ ივანეს-ძე კალინინი მაღალ შეფასებას აძლევდა კ. დ. უშინსკის პედაგოგიკურ მემკვიდრეობას. „ჩვენ უკვე სოციალისტური წყობილობა გვაქვს. მაგრამ ის იდეები, რომლებსაც თავის დროზე უშინსკი ავითარებდა... ეს ნამდვილი იდეებია. კიდევ მეტი: მე ვთვლი, რომ მათი განხორციელება მთლიანად მხოლოდ ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაშია შესაძლებელი“.

რჩეულ თხზულებათა პირველ ტომში უმთავრესად დაბეჭდილია უშინსკის სტატიები, დაწერილი 1857 — 68 წლებში, რომლითაც დაიწყო ახალი ეტაპი რუსული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან სტატიები: „რა სარგებლობა მოაქვს პედაგოგიკურ ლიტერატურას“ (გვ. 1 —

29), „ხალხურობის შესახებ საზოგადოებრივ აღზრდაში“ (76 — 102), „შრომის ფსიქიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა“ (გვ. 102—133), „ზნეობრივი ელემენტის შესახებ რუსულ აღზრდაში“ (154—218), „გერმანული აღზრდის ერთერთი ბნელი მხარე“. ნ. ი. პიროგოვის პედაგოგიკური თხზულებანი“, (233—309) „მეხსიერების ანალიზის პედაგოგიკური გამოყენება“ (309—353) და სხვ.

კ. დ. უშინსკის პედაგოგიკური მოძღვრების საფუძვლების გაგებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მის სტატიას „ხალხურობის შესახებ საზოგადოებრივ აღზრდაში“ (1857 წ.). ამ შრომაში მოცემულია უშინსკის შეხედულებათა ძირითადი გასაღები ადამიანის აღზრდის შესახებ. უშინსკი დაუღალავად იბრძოდა აღზრდის არსებული სახელმწიფოებრივი სისტემის წინააღმდეგ, მართალია, მისი ზოგიერთი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი ჩვენი დროისთვის უკვე მოძველებული და მიუღებელია, მაგრამ, საერთოდ, თვით ეს შრომა „ხალხურობის შესახებ საზოგადოებრივ აღზრდაში“ ნათელ წარმოდგენას იძლევა უშინსკიზე, როგორც დიდ პედაგოგსა და მეცნიერზე, როგორც რუსი ხალხის მოწინავე შვილზე, რომლის მთელი სიცოცხლე იყო დაკავშირებული თავისი ხალხის სულიერი და მატერიალური ცხოვრების ინტერესებთან.

ამ შრომის ფასდაუღებელი მნიშვნელობა განსაკუთრებით იმაშია, რომ აქ უშინსკი პირველად ილაშქრებს დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან (გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი) სწავლა-აღზრდის სისტემების რუსეთში ბრმად გადმონერგვის წინააღმდეგ და გაბედულად აყენებს იდეას რუსული ხალხური პედაგოგიკური სისტემის შექმნის, აღზრდის ორიგინალური, დამოუკიდებელი თეორიის დამუშავების შესახებ.

ახდენს რა ევროპული აღზრდის საერთო ისტორიული საფუძვლების კრიტიკულ ანალიზს (I თავი), უშინსკი მიდის იმ დასკვნამდე, რომ არ შეიძლება აღზრდის ერთიანი სისტემა თავს მოვახვოთ სხვადასხვა ქვეყნის ხალხებს. შეფის რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლები იმ პერიოდში გატაცებული იყვნენ ევროპული განათლებით. ცდილობდნენ აღზრდის ევროპული სისტემის უკვლევად გადმოტანას რუსეთში იმის მიუხედავად. — ეგუებოდა თუ არა ეს სისტემა რუსი ხალხის ნაციონალურ თავისებურებას, ფსიქიკას, ინტერესებს. უშინსკი სწორედ რუსი ხალხის ეროვნულ ღირსებაში ხედავდა იმის აუცილებელ პირობას, რომ ყოველ ხალხში „საზოგადოებრივი აღზრდის საერთო სახელწოდებისა და მრავალი საერთო

პედაგოგიკური ფორმის ქვეშ იმალება თავისი განსაკუთრებული დამახასიათებელი ცნება, შექმნილი ხალხის ხასიათითა და ისტორიით“. რომ ყოველ ხალხს „აღზრდის, თავისი განსაკუთრებული ეროვნული სისტემა, თავისი განსაკუთრებული მიზანი და თავისი განსაკუთრებული საშუალებები აქვს ამ მიზნის მისაღწევად“ (გვ. 82).

განსაკუთრებით ძვირფასია უშინსკის მეცნიერულად დასაბუთებული თეორია, ადამიანის ხასიათის აღზრდის შესახებ. ამ დარგში უშინსკის კალამს ეკუთვნის დიდი კაპიტალური შრომა „ადამიანი, როგორც აღზრდის საგანი“, რომლითაც იგი გვევლინება აგრეთვე რუსული ფსიქოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ ფუძემდებელთაგანად.

რჩეულ თხზულებათა პირველ ტომში დაბეჭდილია ამ შრომის — „წინასიტყვაობა“, რომელშიაც მოცემულია უშინსკის პედაგოგიკური მოძღვრების ძირითადი მეთოდოლოგიური საფუძვლები. ადამიანის ხასიათის აღზრდაში უშინსკი დიდ როლს აკუთვნებს სკოლას, ოჯახს და გარემოს. ხასიათის სულიერი მხარის ცვლილებანი გამოხატულებას პპოულობენ მისი ხორციელი მხარის ცვლილებაში ან „ხასიათის იდეა გამოისახება გარეგნობაში“.

„სწორედ ამ იდეას იჭერს ნიჭიერი ფერმწერი მხატვარი. — სწერს უშინსკი, — რომელსაც შეუძლია მიაგნოს და გადმოსცეს ტილოზე ხასიათის ტიპული ნიშანი, განასხვავოს არსებითი შემთხვევითისაგან. ფიზიონომიიდან უაზროდ გადმოღება ასლისა, თუნდაც ეს ასლი გადმოღებული იყოს დაგეროტიკით, ამ მხრივ ვერ შეცვლის ფერწერას. მხატვრის გენიას შეუძლია პირველ ადგილზე წამოსწიოს ფიზიონომიის სწორედ ის ნიშანი, რაც სახის ტიპურ თავისებურებებს შეადგენს. კარგი პორტრეტი არა მარტო ადამიანის ხასიათს გადმოსცემს, არამედ ხშირად კიდევაც ხსნის ზოლმე ამ ხასიათის აზრს შეუჩვეველი თვალისათვის, რომელიც იბნევა ორიგინალის მრავალშემთხვევითსა და ხელოვნურ ნიშნებში.“ (გვ. 86).

ამ და სხვა მსგავს მეცნიერულ მითითებებს უღაღესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო აღმზრდელ პედაგოგთათვის არამედ ხელოვნების დარგის ყოველი მოღვაწისათვის, რომელსაც ადამიანის სულს ასახვასთან. მის აღზრდასა და ფორმირებასთან აქვს საქმე.

სტატიაში „გერმანული აღზრდის ერთი ბნელი მხარე“ უშინსკი გამანადგურებლად აკრიტიკებს გერმანული პედაგოგიკის ისეთ წარმომადგენლებს, როგორიცაა დისტრევეგი, კარლ შმიდტი და სხვ., ააშკარავებს მათს რეაქციულ ბუნებას, აღზრდის გერმანული სის-

ნ. ი. პიროგოვის „ხალხურობის შესახებ საზოგადოებრივ აღზრდაში“ (1857 წ.)

17311

ტემის უვარგისობას და იცავს ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის, სწავლა-აღზრდის საქმეში მამაკაცთან ერთად ქალის ფართოდ ჩაბმის დემოკრატიულ იდეას. წინასწარმეტყველურად გაისმას ამ სტატიიდან უშინსკის შემდეგი დასკვნითი სიტყვები: „იმ მოთხოვნათა მიხედვით, რაც საზოგადოებაში გამოითქვა, ჩვენი სლავური გულდია და კეთილი ბუნების მიხედვით, რომელსაც ოჯახშიც კი არ შეუძლია გაატაროს რაიმე წინასწარმიღებული მეთოდი, და ბოლოს, ჩვენი ადამიანური შეხედულებების განსაკუთრებული სიფართოვისა და იმ უფლებების მიხედვით, რაც ჩვენში ქალს მიაჩნება მოქალაქობრივმა კანონმა, — შეიძლება იმედი ვიქონიოთ და ვიწამოთ, რომ ჩვენში ქალთა აღზრდის უფრო ჰუმანიური, უფრო ქრისტიანული გეგმა გამომუშავდება, ვიდრე გერმანიაში“.

ეს სტრიქონები დაწერილია 1865 წელს. ~~დენის სტატიის პარტიის შესახებ ხელ-~~

მძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში უკვე მთლიანად განხორციელებულია უშინსკის ოცნება. არსად, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ქალთა არა აქვს ისეთი უფლებები და დაფასება, როგორც ჩვენში.

საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა უშინსკის რჩეულ პედაგოგიურ თხზულებათა პირველი ტომის გამოცემით უაღრესად მნიშვნელოვანი და საგულისხმო საქმე გააკეთა. უშინსკის ქართული გამოცემანი საპატიო ადგილს დაიჭერენ ყოველი ინტელიგენტის წიგნის თაროზე. თარგმანი კარგადაა შესრულებული. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ინსტიტუტის გამომცემლობას სათანადო მზრუნველობა ვერ გამოუჩენია გაფორმების მხრივ წიგნის მაღალხარისხოვნად გამოცემის საქმეში.

1949.
ა. თოფურია.

(„ქნსაქ“, 1949, № 7, კ. 183-186.)

~~ხაადი „გოლესთანის“ თარგმანი ბ. ბილიძისა. თბილისი. 1948 წ.~~



ირანულიდან ითარგმნა და გამოქვეყნდა დიდი ირანელი პოეტის, საადი შირაზელის „გოლესთანის“. თარგმანი ეკუთვნის ამბაკო ქელიძეს.

საადის „გოლესთანის“ ირანული ლიტერატურის ერთ-ერთი პოპულარული ქმნილებათაგანია. დღესაც ძნელია ირანულ ლიტერატურაში მოიძებნოს მეორე წიგნი, რომელიც მასვეთავად ვერცხლებული და ხალხში გასული იყოს.

„გოლესთანის“ მკაცრი ფერებითაა გამოსახული შუა საუკუნეთა ირანის საზოგადოების კონტრასტული სახეები. საადი ქვეყნის მპყრობელთ ქველმოქმედებისკენ მოუწოდებს და ღატაკი ხალხის სიბრაღულს ჰქადაგებს. უთუოდ ამიტომ გახდა საადი სახალხო პოეტი, უთუოდ ამიტომ უყვარს ხალხს საადი.

გაოცებას იწვევს საადი, როგორც ცხოვრების ღრმა მცოდნე, მაგრამ უფრო მეტ გაოცებას იწვევს საადი, როგორც მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი. ხშირად მის პროზას რიტმიც გააჩნია და რითმაც, (ამიტომ. შოგჯერ, მთარგმნელებს „გოლესთანის“ ზოგი პროზაული ადგილი ლექსი ჰგონიან და ლექსად ვენ).

ყველაფერი ეს აძნელებს საადის თარგმნას. მიუხედავად ამისა, საადი ყველა კულტურული ხალხის ენაზე ითარგმნა. თუმცა მათ შორის

რამდენიმეს თუ ექნება მხატვრული თარგმანის პრეტენზია. რუსულად „გოლესთანის“ თხზი თარგმანი არსებობს. სამწუხაროდ, საადის თარგმანებს ყოველთვის ხარვეზები სდევდა თან და რუსულა თარგმანებიც ვერ არიან ამ მხრივ დაზღვეულნი. „გოლესთანის“ დღემდე არსებულ თარგმანებზე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მათში ლექსები პროზითაა გადმოღებული.

ქართული თარგმანი ამ მხრივ ერთგვარი წინსვლაა. ყოველშემთხვევაში, ეს წიგნი „გოლესთანის“ მხატვრული თარგმანის მოცემის პირველი ცდაა. აწგანსვენებულ მთარგმნელს, ამბაკო ქელიძეს, უთუოდ შეუგრძენია საადის ენა და საკმაოდ მხატვრული თარგმანი მოუცია. წიგნის რედაქტორს პროფ. დ. კობიძეს და პოეტ დ. გაჩეილაძეს უმუშავნიათ თარგმანის გაუმჯობესების მიზნით. ქართველმა მკითხველმა „გოლესთანის“ კარგი თარგმანი მიიღო.

თარგმანში მაინც არის სერიოზული ხარვეზები და გვინდა ამაზე მივუთითოთ.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ „გოლესთანის“ უამრავი რედაქციებიდან მთარგმნელს საუკეთესო ვერ შეუტრჩევია. მას უხელმძღვანელებია ბერლინში გამოცემული „გო-

არის, რომ ხორავა ვარდასახვის დროს, როდესაც იგი მთელი სისრულით გადმოსცემს მისი გმირის დამახასიათებელ სულიერ განწყობილებას, ყოველგვარ ძალდატანების გარეშე, სრულიად ბუნებრივად ცვლის ხმას განწყობილების შესაბამისად.

ოტელოს განხილვა შეიძლება კარლ მობოტან ერთად მოთავსებულიყო სათაურით „კლასიკური მემკვიდრეობის ათვისების საკითხი საბჭოთა აქტიორის შემოქმედებაში“, მაგრამ იგი როგორც „შემოქმედებითი შედეგები“ ავტორმა სრულიად სამართლიანად დაასათაურა და გამოიყვანა ცალკე. მართალია, ხორავას შექმნილი აქვს სახეთა მთელი წყება, რომლებსთვისაც მას მიენიჭა სტალინური პრემია, მაგრამ ამ სახეთა შორის ყველაზე პოპულარული ოტელია და ამიტომ გასაგებია, თუ რად დაასათაურა ამ სახის განხილვა — „შემოქმედებით შედეგებად“. ოტელი-ხორავა ერთხმად არის აღიარებული როგორც მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ოტელოს როლი ავტორის მიერ ფიქსირებული თითქმის

ყველა მოქმედების მიხედვით. კარვად არის აღწერილი, თუ როგორი ჯადოსნური გავლენის ქვეშ აყენებს მაყურებელს ხორავა-ოტელი იმ დროს, როდესაც იწყება გარდატეხა მის სულიერ ცხოვრებაში და სავსებით ზუსტად შენიშნავს წიგნის ავტორის მაყურებლის განწყობილებას ამ დროს. მართლაც მაყურებელი კარვად ამჩნევს, როდის შეირბა ოტელიში ადამიანისადმი რწმენის გრძობა და როგორ თანდათან მივიდა იგი ამ რწმენის დაკარგვამდე. შალვა აფხაიძე აღნიშნავს, რომ ხორავა-ოტელი შემოქმედების ისეთ დიდ მოვლენას წარმოადგენს, რომ მას სპეციალური წიგნი უნდა მიეძღვნასო.

მონოგრაფიის დადებითს მხარეს წარმოადგენს წერის მხატვრული მანერა. შალვა აფხაიძემ მეტად საჭირო, ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა და წარმოდგენილი წიგნი აუცილებელ წყაროდ გადაიქცევა მომავალი თაობისათვის დიდი საბჭოთა აქტიორის შემოქმედებითი გზების შესასწავლად.

ენო შვანბერიძე

3. ძიძიგური. „ქართული ენის სწავლება დაწესებით სკოლაში“

საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა, 1950 წ.

საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა დაწესებითი სკოლის მასწავლებელთა დასახმარებლად უკანასკნელ პერიოდში მთელი რიგი საყურადღებო მეთოდიკურ-თეორიული ხასიათის ნაშრომები გამოსცა.

დაწესებითი სკოლისათვის განკუთვნილი მეთოდოლოგიურად და მეცნიერულად გამართული ყოველი ახალი წიგნი, იქნება ეს სტაბილური სახელმძღვანელო თუ დამხმარე მეთოდური ლიტერატურა, ყოველთვის ფართო საზოგადოებრიობის ინტერესსა და ყურადღებას იმსახურებს. რამდენადაც უფრო მაღალ საფეხურზე იქნება დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმე დაწესებით სკოლაში, რამდენადაც უფრო სწორად დაინერგება აქ თავიდანვე წერითი და ზეპირი მეტყველების მაღალი კულტურა, მხატვრული ნაწარმოების კითხვა-გაგების სწორი ჩვევები, იმდენად უფრო გაადვილდება ყოველმხრივ განვითარებულ, მაღალიდებურ და მაღალ მორალურ თვისებათა მქონე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში საშუალო სკოლის წინაშე დასახულ ამოცანათა წარმატებით გადაჭრა.

ამ კეთილშობილური მიზნის განხორციელებაში თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულ მასწავლებლის, ვარლამ ძიძიგურის საკმაოდ მოზრდილ წიგნს

„ქართული ენის სწავლება დაწესებით სკოლაში“. ვარლამ ძიძიგური პოპულარული საზოგადო მოღვაწეა სახალხო განათლების დარგში. მის მიერ შედგენილი პირველი კლასის სახელმძღვანელოებით ათეული წლების განმავლობაში იზრდებოდა ჩვენი ნორჩი თაობა. დაწესებითი სკოლის მასწავლებელთა დასახმარებლად გამოცემულ სარეცენზიო წიგნში თავმოყრილია ხანგრძლივი დროის მანძილზე ავტორის მიერ პედაგოგიურ ასპარეზზე ჩატარებული მუშაობის, პირადი დაკვირვებისა და ჩვენი სკოლის მდიდარი გამოცდილების განზოგადების შედეგები. ამავე დროს წიგნი ემყარება ქართულ დარუსულ ენებზე არსებული მრავალფეროვანი მეთოდიკური ლიტერატურისა და საბჭოთა პედაგოგიკის მეცნიერულ მონაცემებს, რის გამოც იგი სერიოზული მეთოდიკური ნაშრომის ხასიათს ატარებს.

წიგნში განხილულია დაწესებით სკოლაში ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა ძირითადი საკითხი. წიგნის შესავალ ნაწილში ავტორი გვიჩვენებს იმ დიდ ინტერესსა და მისწრაფებას, რომელსაც ქართველი ხალხი მუდამ იჩენდა სწავლა-განათლების საქმისადმი, მაგრამ ამ ინტერესს, როგორც ცნობილია, არასოდეს არ ღირსებია გაშლა-

განვითარება საქართველოში ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ქართული, მშობლიური ენა სასტიკ, დამამცირებელ დევნასა და შევიწროებას განიცდიდა, განსაკუთრებით ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის პირობებში.

„ცარიზმი, — წერდა ამხანაგი სტალინი 1920 წელს თავის წერილში „საბჭოთა ხელისუფლები აოლიტიკა ხაციონალურ საკითხში რუსეთში“, — ავიკროებდა, ზოგჯერ პირდაპირ აუქმებდა ადგილოივი სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმისათვის, რომ მასეიი სიბნელეი ჰყოლოდა. ცარიზმი ახშობდა ადგილოივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანთა ყოველივე ინიციატივის, ბოლოს ცარიზმი ჰკლავდა განაპირა მხარეების ხალხთა მასების ყოველგვარ აქტივობას“ (ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. IV, 1948 წ., გვ. 388).

საქმე

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე უნიონური პარტიის ხელმძღვანელობითა და საბჭოთა მთავრობის დაშარეით განხორციელდა უდიდესი სახელმწიფოეიოივი ღონისიეებაი ჩვეს სკოლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებისა და შეუიეიეობათა საფეგლების მტეიე ცოდნით მოსწავლე ახალგაზრდობის შეიარაღებისათვის. უდიდესი როლი ამ საქმეში შეასრულა კავშირო ე. ბ. ცენტრალური კომიტეტის ისტორიულმა დადგენილებებმა დაწყებითი და საშუალო სკოლების სასწავლო რეჟიმის, სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტეიეებისა და სტაბილური პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის შესახებ. დღეს როგორც ვ. ძიძიგური შენიშნავს, „ქართველი ხალხი, საბჭოთა ქვეყნის სხვა ხალხებთან ერთად, მასობრივი წიგნიერებითა და განათლებით არის ცნობილი“.

წიგნის პირველ თავში ავტორი საკმაო ცოდნითა და სიღრმით აშუქებს ანბანის სწავლების მეთოდებს (გვ. 3-25) და გვიჩვენებს იმ დიდ დამსახურებას, რომელიც მიუძღვის გამოჩენილ ქართველ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს იაკობ გოგებაშვილს ქართული ანბანის სწავლების მეცნიერული პედაგოგიკური გზებისა და ხერხების დამუშავებისა და, საერთოდ, ქართული ენის სწავლების გარკვეული სისტემის შექმნაში. საბჭოთა სკოლაში ი. გოგებაშვილის მდიდარი და მრავალფეროვანი მემკვიდრეობის ფართოდ გამოყენებას ცხადპყოფს ის ფაქტი, რომ „დედა-ენის“ ამჟამად მოქმედი სტაბილური სახელმძღვანელო შედგენილია ი. გოგებაშვილის პედაგოგიკურ მოთხოვნათა და მისი „დედა-ენის“ ძირითად პრინციპულ საფუძვლებზე. წიგნი ფართო ადგილი აქვ

დათმობილი დიდი რუსი პედაგოგის კ. დ. უშინსკის მაგალითზე ი. გოგებაშვილის მიერ დამუშავებული და შემოღებული ქართული ანბანის სწავლების ანალიზურ-სინთეზური მეთოდის გარკვევას და მისი გამოყენების პრაქტიკულ საკითხებს. ვ. ძიძიგური ამასთან დაკავშირებით სამართლიანად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ი. გოგებაშვილი ყოველთვის შემოქმედებითად იყენებდა უშინსკის პედაგოგიკურ მოძღვრებას ანბანის სწავლების მეთოდების შესახებ. კ. დ. უშინსკი, რომელიც ანბანის სწავლების ყველაზე სწორ ანალიზურ-სინთეზური მეთოდის ფუძემდებლად ითვლებოდა რუსეთში, უპირატესობას აძლევდა წერა-კითხვის ამ მეთოდით სწავლების ხერხს, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მოსწავლეს ჯერ წერა უნდა ესწავლა, შემდეგ კი კითხვა, ე. ი. წერა-ანალიზი წინ უსწრებდა კითხვა-ანალიზს. ი. გოგებაშვილმა უშინსკის ეს მოძღვრება შეუფარდა ქართული ენის ფონეტიკურ ბუნებას და შემოქმედებითად განავითარა იგი. ი. გოგებაშვილის მეთოდში უპირატესობა კითხვა-წერის ხერხს აქვს მინიჭებული, ბავშვები ჯერ ანბანის კითხვას ეჩვევიან, ხოლო შემდეგ წერენ მას, ე. ი. კითხვა-სინთეზი წინ უსწრებს წერა-ანალიზს, რაც ხელს უწყობს ანბანის შეგნებულად და გააზრებულად შესწავლას.

სხვა მთელ რიგ წმინდა სასკოლო-მეთოდიკური ხასიათის დადებით მხარეებთან ერთად, წიგნის ღირსებას წარმოადგენს ისიც, რომ მასში საკმაოდ ფართო ადგილი აქვს დათმობილი ქართული ენის გაკვეთილებზე მხატვრული ლიტერატურისადმი მოსწავლეთა პირველადი ინტერესის აღძვრის პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური საკითხებისა და მხატვრული ნაწარმოებების კითხვის, გაგებისა და შესწავლის კონკრეტული სპეციფიკური ხერხების გაშუქებას, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს დაწყებით სკოლაში ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ამ საკითხისადმი სპეციალურად მიძღვნილია წიგნის მეოთხე, მოცულობით ყველაზე დიდი თავი (იხ. „კითხვის ტექნიკის დაუფლება და ზეპირი მეტყველების განვითარების გზები“, გვ. 140 — 217), რომელშიაც ავტორი სკოლებისა და პირადი გამოცდილების გამოყენების საფუძველზე საგულისხმო მოსაზრებებს იძლევა და სწორ დასკვნებს აკეთებს.

სკოლაში მხატვრული, შეგნებული, გააზრებული კითხვის ჩვევებს საფუძველი ეყრება პირველ კლასიდანვე. იმაზე თუ რამდენად ღრმად ჩაუნერგავს მასწავლებელი თავიდანვე მხატვრული ნაწარმოებთა სიყვარულს მოსწავლეს, რამდენად ღრმად განაცდევინებს მას მასში გამოსახულ გრძნობებს და აზრებს, დი-

„გადაშლი წიგნს და ბელადის აზრი ჩირაღდანით გზას გაგინათებს. ბრძოლებისათვის გინმობს და გრავშმავს, გაგამხნევებს და ძალას გიმატებს“.

ლექსი „იქ მიდის ხალხი“ დაწერილია თბილად და წრფელი ლირიკული განცდით ამ ლექსში პოეტი მხატვრულად გვიხატავს იმ პატარა სახლს, სადაც დიბადა და თავისი ბავშვობის წლები გაატარა დიდმა ბელადმა ეს სახლი, პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ, „ყველას ნუგეში და საფიცარი“ გამხდარა, „იქ მიდის ხალხი რომ ნახოს თვალით თავის წარსულიც და მომავალიც“.

პოეტის მიერ კარვად არის გააზრებული ლექსი, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ლირიკული ფრაგმენტი — „წინაპრები“. პოეტი იგონებს ჩვენს სახელოვან წინაპრებს, რომლებიც თავდადებითა და შეუპოვრად იბრძოდნენ „მისთვის, რომ კერა თბილი არ გაეყინა ღუმელის ტყვიას“, რომ დაეცვათ და აემალღებინათ ჩვენი ხალხის დამოუკიდებლობა და ეროვნული ღირსებანი. კრებულში მოთავსებული სხვა ლექსებიდან ყურადღებას იპყრობს ლექსი „მახათას მთაზეც ტყე იშრიალებს“. თბილისის ხალხს მდებარე მახათას მთას, რომელიც აქამდე ქვიშითა და ღორღებით დაფარულ უდაბურ ფერდობს წარმოადგენდა, მალე „ახალი მოდგმის ადამიანები“, ჩვენი ქვეყნის მშრომელი ადამიანები, ხეებითა და ნარგავებით დაფარავენ და მოშრიალე ტყვად გადააქცევენ:

„რომ ყოველ დილით საყვარელ თბილისს ტყიდან ესტუმროს ნიაფი გრილი, რომ რტოთა რხევა, ფოთოლთა ჩრდილი ეხარებოდეს სივრცეს და თვალებს, რომ ამშვენებდეს ხანდაზმულ თბილისს — მახათას მთაზეც ტყე იშრიალებს“.

სამამულო ომის თემატიკაზე გაშლილი ავტორის ზოგიერთი ლექსი, რომელთაგანაც საყურადღებო ლირიკულ ნაწარმოებად შეიძლება მივიჩნიოთ — „გუშავი ფიქრობს“, „წერილი უტრაინელ მეგობარს“, „მან ხელმეორედ ნახა ქვეყანა“ და სხვ. ლექსში „წერილი უტრაინელ მეგობარს“ პოეტი გვიხატავს მეტად შემზარავ და ამალღვებელ სურათს. საბჭოთა მებრძოლი მიდის თავის მშობლიურ სოფელში, სადაც ყველაფერი ფერფლად და წანგრევებადაა ქცეული:

„ირგვლივ გაშლილი ველები ფართო და გაფანტული ქვებითა დარჩა“ —

ამბობს პოეტი. მაგრამ საბჭოთა არმიის ჯარისკაცი, მებრძოლი და კეთილშობილი უკრაინელი

ნელი ადამიანი მორალურად როდი ეცემა, პირიქით, იგი ამაყად და იმედოვნად გაჰყურებს მუშავალს; ვინაიდან იცის:

„რა გააცივებს მშობლიურ კერას, როცა ხალხია პატრონი მისი“.

ამ თემატიკური რკალიდან აღსანიშნავია აგრეთვე ლექსი „მან ხელმეორედ ნახა ქვეყანა“. ამ ლექსში გამოთქმული აზრი ნათელი და გასაგებია. საბჭოთა არმიის მეომარმა დიდი სამამულო ომში დაკარგა თვალის სინათლე. იგი დღემოდ ფიქრობს იმაზე, თუ „როდის იქნება ცას შეხედავს, გააღებს თვალებს“. მართლაც, მისდა საბედნიეროდ, გამოცდილმა სამხედრო ექიმებმა შესძლეს სინათლედაკარგული მებრძოლის განკურნება, აღუდგინეს მას მხედველობა. მებრძოლს კვლავ დაუბრუნდა აღტაცება და სიხალისე, „მან ხელმეორედ ნახა ქვეყანა“.

სამამულო ომის ბრწყინვალედ დასრულების შემდეგ ჩვენი ქვეყნის მშრომელი ადამიანები გაცხოველებით შეუდგნენ მუშაობას ომით დაზიანებული სახალხო მეურნეობის აღსადგენად და ასადორძინებლად. ამ ადამიანებმა გაიმარჯვეს სასტიკ და დაუნდობელ მტრებთან ბრძოლაში, ისინი იმარჯვებენ და არნახულ წარმატებებს აღწევენ ამჟამად სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. „ისინი ძალიან ბევრი არიან, მათი სახელი ლეგიონია, იმიტომ რომ ეს ადამიანები ათეულ მილიონობით არიან. ისინი უბრალო, თავდაბალი ადამიანები არიან“ (სტალინი). დიდი ბელადის ეს სიტყვები აქვს წამძღვარებული პოეტის ერთერთ ლექსს „კაცი უბრალო“. ამ ლექსში პოეტი უმღერის იმ უბრალო და თავდაბალ, გამრჯე და შრომის მოყვარე ადამიანს, რომელმაც „გადაიტანა სუსხი და თოში“, რომელიც

„იცავდა მიწის ნაწიბურს, მტკაველს, უვლიდა, ზრდიდა თვითეულ თაველს, როგორც სამშობლოს ბარაქას, დოვლათს უჩინარი და უბრალო ყოვლად“.

მაგრამ ეს უბრალო ადამიანი ახლა, როცა „სამშობლო ისევ მშვიდობას ითხოვს“, გამალებით შრომობს და იბრძვის ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, მშვიდობიანი ცხოვრების შესანარჩუნებლად:

„ჩვენში მშვიდობა რომ იყოს მყარი და მარად ჰქონდეს მშვიდობას ბინა“

დადებით შთაბეჭდილებას სტოვებს ლექსები: „ჩვენი ქალაქი“, „ჩემთან შეზრდილი ძვის ხე“, „ბალადა სამგორზე“ და სხვ. ლექს „ბალადა სამგორზე“ პოეტი მოგვითხრობს მ

„გზისკა“, 1951, №10.

ლი, ქვედი, დუბე და სხვ.). სინონიმთაგან: ველი, კორდი, მდელო, ნოლა კონტექსტი მოცემულია მხოლოდ ველისათვის. მამალი ცხოველის მწკრივში მოცემულია: ხვადი, ახტა, ულაცი, აჯილდა, უჩა, ვაყა, ბოტი, ვერძი, კერატი, ტახი, ბოჩოლა, ბოიკი, ხარი, ბუღა, კურატი, ზვარა. ამათგან აეტონის მაგალითი მოჰყავს მხოლოდ სიტყვისათვის — ხარი („მწუხარის თქვან: კიდევ თორღვასა გუშინ მოუკლავს ხარია“: ვაყა).

ამრიგად, ფრაზეოლოგიურ დამოწმებანი წიგნში შემთხვევითი ხასიათისაა და გარკვეულ პრინციპულ საფუძველზე არ არის დაფუძნებული.

ზემოაღნიშნული ცალკეული ნაკლოვანებანი არ ამცირებენ ნაშრომის პაერთო მნიშვნელო-

ბას. ეჭვსგარეშეა, ამ სახითაც „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“ მაგიდის წიგნი იქნება ყველა მათთვის, ვისაც აინტერესებს ქართული ლექსიკონის ერთი უმდიდრესი უბანი — სინონიმთა, რომლის მრავალფეროვნებას ნათლად დაინახავს ჩვენი მკითხველი ამ სასარგებლო წიგნიდან.

სინონიმთა საკვანძო თეორიული საკითხების დამუშავება სტალინური საენათმეცნიერო მოძღვრების საფუძველზე გადაუდებელი საქმეა.

სარეცენზიო ლექსიკონი უნდა გამოდგეს როგორც მასალა, ქართული სინონიმთა ზოგადი საკითხების შესასწავლად.

წიგნის რედაქტორია პროფ. სიმ. ყაუხჩიძე.

ზ.ო.თა ძიძიგური

ა. ს. მაკარენკო „ჩვეული პედაგოგიური თხზულებანი“

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემა, 1950 წ.

(3)

★

ა. ს. მაკარენკო საბჭოთა პედაგოგიის, ყველაზე იდეური, მოწინავე, მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიის წარმომადგენელია. იგი იყო პირველი საბჭოთა პრაქტიკოსი — მასწავლებელი, რომელმაც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ~~წინააღმდეგ~~ შეხედულებების საფუძველზე გადაჭრით აღიმადლა ხმა სწავლა-აღზრდის მოძველებული მეთოდების წინააღმდეგ და მოგვცა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის მთელი რიგი აქტუალური პრობლემების სწორი თეორიული და პრაქტიკული გადაწყვეტა.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაკარენკოს ორიგინალურ, ნოვატორულ შეხედულებებს სოციალისტური საზოგადოებისათვის შესაფერისი, ყოველმხრივ განვითარებული, სიძნელეებთან ბრძოლაში უშიშარი, გაბედული, ~~ბრძოლის~~ ნებისყოფითა და ხასიათით აღჭურვილი ახალგაზრდობის აღზრდის შესახებ. თავისი ხანგრძლივი პედაგოგიური მუშაობის პრაქტიკაში მაკარენკო ემყარებოდა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ძირითად პრინციპს — აღზრდა კოლექტივში, კოლექტივის საშუალებით და კოლექტივისათვის. ამ მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლაში იგი აღწევდა უმაგალითო, გასაოცარ წარმატებებს.

გორკისა და ძერჟინსკის სახელობის ბავშვთა შრომითს კოლონიებში თექვსმეტი წლის მუშაობის მანძილზე მაკარენკომ შესძლო ქუჩიდან

პირდაპირ კოლონიაში მოხვედრილი, უპატრონო ბავშვებისაგან აღეზარდა საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველყოფილი იდეით, ~~დაწინააღმდეგ~~ საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით გამსჭვალული ათასობით ადამიანი, რომლებიც დღეს მიმოფანტული არიან ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში და პატიოსნად იხდიან თავიანთ მოვალეობას სამშობლოსა და ხალხის წინაშე.

ამაშია ძირითადად მაკარენკოს პედაგოგიკური მოძღვრების ძალა და სიდიადე, მის მიერ საბჭოთა პედაგოგიკური მეცნიერებაში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილი და ამაგი. მაგრამ მაკარენკოს მრავალმხრივი მოღვაწეობა სცილდება პედაგოგიის ფარგლებს. მისი ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოებები „პედაგოგიური პოემა“, „ალმები კოშკებზე“, მთელი რიგი სტატიები და ლექციები წარმოადგენენ საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებებს, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის საფუძველზე შექმნილ საუცხოო შემოქმედებებს ნიმუშებს, რომლებზედაც მილიონობით საბჭოთა ახალგაზრდები იზრდებიან.

მაკარენკოს, როგორც მწერლისა და პედაგოგის, სახელი განუყრელად არის დაკავშირებული დიდი ჰუმანისტისა და ~~წინააღმდეგ~~ საქმისადმი მწიფის საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლის ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის სახელთან. გორკი იყო პირველი ადამიანი, რომელმაც

ლენტს გარკვეული სემანტიკური ნუანსით? ოღონდ ამ შემთხვევაში ეს ნასესხები სიტყვა ამოტივტივებულია გარკვეული ენობრივი წრის სიტყვახმარებაში, თანდათანობით ვიწროვდება ეკვივალენტის გამოყენების რკალი, — ეკვივალენტისა, რომელიც დროის გარკვეულ მონაკვეთში მაინც არსებობს მთქმელის სამეტყველო ცნობიერებაში პოტენციურად. მხოლოდ ამდენად არ არსებობს აბსოლუტური სინონიმები, თორემ, თუ მთელი ენის მასშტაბს ავიღებთ, აბსოლუტურ სინონიმებს, რასაკვირველია, შევხვდებით“. ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ ცნება აბსოლუტური სინონიმებისა მე შესაძლებელია სხვანაირად, შედარებით იმ გაგებასთან, რომელიც მოცემულია ალ. ნეიმანის შრომაში.

ამრიგად, ნაშრომში არ არის მკაცრად შეზღუდული და შემოფარგლული აბსოლუტური სინონიმების გამოყენება-გავრცელების არე, — ავტორი არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ცოცხალ მეტყველებაში resp. რომელიმე დიალექტურ სინამდვილეში არ შეიძლება არსებობდეს აბსოლუტური სინონიმები, ყველა მათგანი პარონიმური ხასიათისაა. ხოლო სხვა მთელი სახალხო-ეროვნული ენის სინამდვილე: სხვადასხვა დიალექტში წარმოქმნილი სინონიმები შეიძლება აბსოლუტურად იდენტური შინაარსის იყოს, ისევე როგორც აბსოლუტურ სინონიმებს შეიძლება ჰქმნიდნენ თანამედროვე და არქაული სიტყვებიც. სინონიმები უნდა წარმოვიდგინოთ არა სიტყვიერი პრეპარატების სახით, არამედ უნდა განვიხილოთ ისინი ცოცხალ მეტყველებაში.

„ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“ არსებითად ასახავს ახალი ქართული ენის მასალას. მაგრამ მასში თვალსაჩინო რაოდენობით არის შესული არქაული სიტყვებიც. ძველი ქართულის ეს ფაქტები, როგორც ეტყობა, აღებულია, უმთავრესად, ძველი ქართული ენის არსებულ ლექსიკონებიდან. რა თქმა უნდა, ავტორისათვის ძნელი იქნებოდა ვრცლად წარმოედგინა ძველი ქართული ენა სინონიმის თვალსაზრისით, რადგანაც, როგორც ვიცით, ძველი ქართული ენის ლექსიკური შედგენილობა შესწავლილი არ არის სათანადო სიღრმით. ამდენად, სარეცენზიო ლექსიკონი რამდენადმე შერეული ხასიათისაა.

ლექსიკონი შედგენილია ასეთნაირად: სინონიმები დალაგებულია ერთი გარკვეული წევრის მიხედვით, რომელსაც ავტორი დონიანტ-სიტყვას უწოდებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, სინონიმთა გრძელ ჯაჭვში ამორჩეულია ძირითადი მნიშვნელობის წევრი და ისაა გატანილი სალექსიკონო ერთეულად. ბუდეში მოქცეული წევრები კი სათითაოდ, ცალ-ცალკეა ლექსიკონში მოცემული სალექსიკონო ერთეუ-

ლებად და მითითებულია დონიანტ-სიტყვაზე. მაგალ., სინონიმები ინჯილაკი, წილჩავატი, ქუქუ, ჯიბლიბო, ზინზიბა დაჯგუფებულია ჯიბლიბო-ზე, ხოლო ბუდეში მიქცეული ქუქუ, ზინზიბა და სხვა ცალ-ცალკეა გატანილი ლექსიკონში და მითითებულია ჯიბლიბო-ზე.

აღსანიშნავია, რომ ომონიმური ხასიათის სიტყვები ცალ-ცალკეა გამოტანილი და დანომრილი. მაგალ., I — დაცვა — ასრულება, შესრულება (კანონისა და სხვ.); II — დაცვა — დარაჯობა, ყარაულობა, გუშაგობა; III — დაცვა — თავდაცვა, დაფარვა (სამშობლოსი); IV — დაცვა-შენახვა, მოვლა-პატრონობა (ქონებისა) და ა. შ.

შეიძლება ითქვას, რომ წიგნში მოცემულ წესს სინონიმების დალაგებისას გარკვეული უპირატესობა აქვს იმ წესთან შედარებით, რომელიც გვხვდება ანალოგიური ტიპის ლექსიკონებში.

გარკვეულ შენიშვნებს იწვევს ნაშრომის ფრაზეოლოგიური ნაწილი. ფრაზეოლოგია საზოგადოდ არაა წარმოდგენილი აქ, ოღონდ აქაიქ, ძალიან იშვიათად ბუდეში მოქცეული რომელიმე წევრისათვის მოყვანილია კონტექსტები ამა თუ იმ მწერლის თხზულებიდან. ეს მწერლებია: ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, ილ. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი. რ. ერისთავი, ნ. ლომოური, ე. ნინოშვილი, ალ. ყაზბეგი, თ. რაზიკაშვილი და სხვ.

გაუგებარია, რა პრინციპზეა დაყრდნობილი ეს ლიტერატურული დამოწმებანი. რომელიმე სინონიმურ პასაჟიდან რატომ ერთ სიტყვასთან ვასახელებთ კონტექსტებს და, ვთქვათ, მეორესთან არა? გასაგები იქნებოდა, რომ მეტად იშვიათი სიტყვისათვის მოეტანა ავტორს მაგალითი მწერლობიდან, ანდა კონტექსტით ნათელიყო ამა თუ იმ სიტყვის სინონიმურობა იმ შემთხვევაში, როცა მთლად ნათელი არაა სიტყვის დაკავშირება სინონიმურ ერთეულებთან. დაბოლოს, შეიძლებოდა კონტექსტისათვის მიგვემართა მაშინ, როდესაც ბუდეში სინონიმის ერთ-ერთ კომპონენტად ფრაზეოლოგიური სინონიმის ნიმუშია მოცემული. არც ერთი ეს პირობა არ უდევს საფუძვლად შრომაში წარმოდგენილ ფრაზეოლოგიურ მასალას. მაგალითად ავიღოთ სინონიმები, რომლებიც დაჯგუფებულია სიტყვასთან ვაკე: ბარი, დაბლობი, ქვედი, ჩოლი, დუბე, დაცემული ადგილი, ტაფქალოვანი ადგილი, ტაფობი. აქ მოცემულია მაგალითი: „ამ ტაფობზედ ოცი-ოცდაათიოდ კაცი მოთავსდებოდა“ (ყაზბეგი). რა უპირატესობა ენიჭება სინონიმთა შემომოყვანილ წევრებში ტაფობ-სიტყვას, — რად სჭირდება ავტორს ლიტერატურული დამოწმება მაინცადამაინც ამ სიტყვისათვის, მაშინ როდესაც უკონტექსტოდ მოცემულია სხვა წევრები (ჩო-

6

მაკარენკოს პრაქტიკულ პედაგოგიურ მოღვაწეობასა და ორიგინალურ თეორიულ მოსაზრებებში დაინახა „მსოფლიო მნიშვნელობის“ მოვლენა. მან შთააგონა მაკარენკოს იმ ლიტერატურულ-პედაგოგიური თხზულებების შექმნა, რომლებშიაც მწყობრ პედაგოგიურ სისტემად ჩამოყალიბდა მაკარენკოს ~~სისტემის~~ პედაგოგიური მოძღვრება. ამიტომ თვით მაკარენკოსათვის გორკი იყო ცხოვრების დიდი მასწავლებელი, გზის მაჩვენებელი და მეგობარი.

ქართულ ენაზე მაკარენკოს პედაგოგიური შეხედულებებისა და ლიტერატურულ-პედაგოგიური თხზულებების ფართო მკითხველბისათვის გასაცნობად უკანასკნელ ხანებში ინტენსიურ მუშაობას აწარმოებს საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, რომელმაც გამოსცა მთელი რიგი შრომები, მიძღვნილი მაკარენკოს ცხოვრება-მოღვაწეობასა და პედაგოგიკური მემკვიდრეობის ათვისების საკითხებისადმი (პროფ. ე. ნ. მედინსკის „ანტონ სიმონის-ძე მაკარენკო“, დოც. ემ. გოგინავასი „ბავშვთა კოლექტივი და მისი აღზრდის საკითხები ა. ს. მაკარენკოს მოძღვრებაში“ და სხვ.). თვით მაკარენკოს საუკეთესო პედაგოგიური თხზულებანი კი დღემდე არ იყო თარგმნილი ქართულ ენაზე.

ამ ხარვეზს ავსებს ¹⁹⁵⁰ წელს ინსტიტუტის მიერ დოც. ვ. ქაჯაიას წინასიტყვაობითა და რედაქციით გამოცემული ა. ს. მაკარენკოს „რჩეული პედაგოგიური თხზულებანი“, რომელშიაც თავმოყრილია უმთავრესად რუსულ პერიოდულ გამოცემებში გაფანტული მაკარენკოს წერილები, სტატიები და სხვადასხვა დროს საჯაროდ წაკითხული ლექციები.

წიგნი შედგება ოთხი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში მოთავსებულია მაკარენკოს ძირითადი სტატიები აღზრდის ზოგად საკითხებზე, მეორე განყოფილებაში განხილულია საბჭოური აღზრდის ცალკეული პრობლემები, მესამე განყოფილებაში მოცემულია ზოგიერთი დასკვნა მაკარენკოს საკუთარი პედაგოგიური გამოცდილებიდან და მეოთხე განყოფილებაში ჩამოყალიბებულია ოჯახური აღზრდის თეორიული საფუძვლები.

წიგნის წინასიტყვაობაში ვ. ქაჯაია აშუქებს მაკარენკოს ცხოვრებისა და პედაგოგიური მოღვაწეობის ძირითადი ეტაპებს და იძლევა მისი პედაგოგიკური მოძღვრების დახასიათებას.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მაკარენკოს „რჩეულ პედაგოგიურ თხზულებებში“ მოთავსებული სტატია „მაქსიმ გორკი ჩემს ცხოვრებაში“. 1925 წლიდან მაკარენკოსა და გორკის სახელობის კოლონიის აღსაზრდელებს მჭიდრო წერილობითი ურთიერთობა ჰქონდათ დამკარებელი ალექსი მაქსიმეს-ძე გორკისთან. გორ-

კის თითქმის ყოველდღე მოსდიოდა კოლონიის აღსაზრდელთა ასობით წერილი, იგი ალტაცებით და სიხარულით ეხმარებოდა თითოეულ მათგანს, იძლეოდა რჩევა-დარიგებებს და შემოქმედებითი მუშაობის კიდევ უფრო ნაყოფიერად გაშლის დიდ სტიმულს აძლევდა თვით კოლონიის უფროსს ა. ს. მაკარენკოს. მაკარენკო თავის სტატიაში იგონებს ერთ მეტად საინტერესო დეტალს: გორკი მაკარენკოსაგან თავის წერილებში ყოველთვის მოითხოვდა ეცნობებინათ მისთვის კოლონიის მდგომარეობის ყოველი წვრილმანი. „მაგრამ ჩემმა უღრმესმა პატივისცემამ და სიყვარულმა გორკისადმი, ჩემმა შიშმა მისი ჯანმრთელობის შესახებ ნება არ მომცა გადაჭრით ჩამეთრია ალექსი მაქსიმეს-ძე ჩემს პედაგოგიურ დავიდარაბაში. მე სულ უფრო და უფრო ვცდილობდი ეს დავიდარაბა შეძლებისდაგვარად მის ნერვებს აცილებოდა“. გორკიმ კოლონიის მდგომარეობის შესახებ ისედაც ყველაფერი იცოდა. აი, რას წერდა ის 1928 წლის 9 მაისს მაკარენკოს:

„ნება მიბოძეთ მეგობრულად გისაყვედუროთ: რათ არ გინდათ მასწავლოთ როგორ და რით შემოძლია დაგეხმაროთ თქვენც და კოლონიასაც? თქვენი სიამაყე, როგორც თქვენი საქმისთვის მებრძოლისა, მე შესმის, ძალიან მესმის; მაგრამ ეს საქმე ზომ როგორღაც დაკავშირებულია ჩემთან, და მრცხვენია, უხერხულია ჩემთვის პასიური დავრჩე იმ დროს, როცა ეს საქმე დახმარებას საჭიროებს“ (გვ. 62).

და მართლაც გორკიმ იხსნა მაკარენკო უკრაინის განსაკომის სისტემაში იმ დროს მოკალათებული უსულგულო ჩინოვნიკთა დევნიდან, ~~დღინ-სტალინის პარტიის დახმარებით~~ გზა გაუკაფა ნიჭიერ შემოქმედსა და საბჭოთა პედაგოგიის ნამდვილ ნოვატორს და მისი მდიდარი პედაგოგიურ-ლიტერატურული მემკვიდრეობა აქცია მთელი საბჭოთა ხალხის, საბჭოთა კულტურის საყოველთაო კუთვნილებად.

მაკარენკო გორკის შემოქმედებაში განსაკუთრებულ მაღალ შეფასებას აძლევდა ე. წ. გორკისებურ ოპტიმიზმს და ადამიანში დადებითი თვისებების სწრაფად დანახვას. „ადამიანში მუდამ უნდა ვივარაუდოთ კარგი რამ, და პედაგოგიც ვალდებულია გააკეთოს ეს, — წერს მაკარენკო — იგი მოვალეა ადამიანს მიუდგეს თუნდაც შეცდომის ჩადენის ერთგვარ რისკით. და, აი, ეს უნარი ადამიანში უკეთესი, უფრო ძლიერი, უფრო საინტერესო რამის ვარაუდისა უნდა ვისწავლოთ გორკისაგან“. და შემდეგ: „გორკის ეხერხება ადამიანში დადებითი, ძალების დანახვა, მაგრამ არასდროს არ ამცირებს თავის მოთხოვნას ადამიანისადმი და არასდროს დაერიდება უაღრესად მკაცრ გაკიცხვასაც კი“ (გვ. 58).

ა. ს. მაკარენკოს „რჩეული პედაგოგიური თხზულებანი“, 1950, მ. 62

(1731, 83)

სტატიამი „საბჭოთა სკოლაში აღზრდის პრობლემები“ მაკარენკო არკვევს სკოლის ერთიანი, მტკიცედ შემჭიდროებული პედაგოგიური კოლექტივის შექმნისა და აღმზრდელობითი სისტემის თეორიულ პრინციპებს, რასაც კომუნისტური აღზრდის საერთო სისტემაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საზოგადოებრივი აზრის ძალა ბავშვთა კოლექტივში მაკარენკოს მიაჩნდა რეალურად ხელშესახებ ისეთ მძლავრ ფაქტორად, რომელსაც შეუძლია აამაღლოს მოსწავლის პასუხისმგებლობა მთელი კლასისა და სკოლის პედაგოგიური კოლექტივის წინაშე, ე. ი. აღზარდოს მასში საბჭოთა ადამიანის კეთილშობილური თვისებები. ბავშვი უნდა გრძნობდეს გარემო წრის, ამხანაგების, მეგობრების, კოლექტივის მუდმივ კონტროლს, იდეურ და მორალურ ზეგავლენას და თავის ხასიათს, მოქმედებას, ზრდილობისა და ქცევის ნორმებს უფარდებდეს სკოლის მთელი კოლექტივისათვის დადგენილ ერთიან წესებს. „ყოველი მოწაფე, — წერს მაკარენკო, — უნდა ცხოვრობდეს არამარტო თავისი კლასის პატარა ჯგუფის ინტერესით, არამედ მას უნდა ადაფრთოვანებდეს სკოლის საერთო მიზნები, უნდა განიცდიდეს სკოლის საერთო სიხარულს“. მაკარენკოს აზრით, ამხანაგობისა და ერთმანეთისადმი პატივისცემის გრძნობის აღზრდა შეიძლება მხოლოდ სკოლის ერთიანი მტკიცე კოლექტივის შექმნით, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის გონებაში საზოგადოებრივი აზრის „როგორც აღზრდის მომწესრიგებელი და დისციპლინის დამამყარებელი ფაქტორის“ განმტკიცებას.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლა-აღზრდის საბჭოთა სისტემაში მოსწავლეებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას. ხშირად ცალკეულ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობის შინაარსი ზოგიერთ მოსწავლეებს არასწორად ესმის. მაკარენკო მისთვის ჩვეული გაბედულებით არკვევს ამ საკითხს და აძლევს მას სწორ და საფუძვლიან განმარტებას.

„ბავშვებისადმი ინდივიდუალური მიდგომა სრულიადაც არ ნიშნავს განცალკევებულ ჭირვეულ პიროვნებასთან დავიდარაბას, — ინდივიდუალური მიდგომა საფარით არ უნდა ვავაპართ მეშხახური ინდივიდუალური აღზრდა. უმწეოა ის პედაგოგი, რომელიც მფარველობს მოწაფის ნაკლოვანებებს, ბრმად აყოლია მის კაპრიზს, ეთაძაშება და ენას უსლექს იმის ნაცვლად, რომ აღზარდოს და გარდაქმნას. მისი ხასიათი. უნდა შეგეძლოს უკომპრომისო მოთხოვნების წაყენება ბავშვისათვის, რომელსაც განსაზღვრული ვალდებულებები აქვს საზოგადოების წინაშე და პასუხისმგებელია თავისი მოქმედებისათვის. ბავშვებისადმი ინდივიდუალური მიდგომა სწორედ იმაში მდგომარეობს,

რომ მის ინდივიდუალურ თავისებურებათა შესაბამისად გავხადოთ იგი თავისი კოლექტივის ერთგულ, ღირსეულ წევრად, საბჭოთა სახელმწიფოს მოქალაქედ“ (გვ. 37).

ლექციების ციკლში „სასკოლო საბჭოური აღზრდის პრობლემები“ (ეს ლექციები მაკარენკოს მიერ წაკითხულ იქნა რსფსრ განსახკომის თანამშრომლებისათვის 1938 წლის იანვარში) საკუთარი პედაგოგიური გამოცდილების განზოგადების საფუძველზე, საბჭოთა პედაგოგიის დიდმნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, მაკარენკო აყენებს სკოლებში აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნის მთელ რიგ სადღეისო ამოცანებს. წიგნის ამ ნაწილში მკითხველის ყურადღებას იქცევს განსაკუთრებით ის ადგილები, სადაც გადმოცემულია მაკარენკოს შეხედულებანი აღზრდის მეთოდების, შეგნებული დისციპლინის განმტკიცების, სასჯელისა და წახალისების, კოლექტივში ურთიერთობისა და ტონის ფორმებისა და საშუალებების შესახებ. მაკარენკო სკოლაში შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საკითხს განიხილავს როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების, საზოგადოებრივი მორალის განუყრელ ნაწილს.

„ჩვენს საზოგადოებაში უდისციპლინობა, უდისციპლინო ადამიანი, — წერს იგი, — ეს ისეთი ადამიანია, რომელიც საზოგადოების წინააღმდეგ გამოდის, და ასეთ ადამიანს ჩვენ ვუყურებთ არა მარტო გარეგანი ტექნიკური მოხერხებულობის თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკური და ზნეობრივი თვალსაზრისით“. „ჩვენი დისციპლინა, — განაგრძობს იქვე მაკარენკო, — ძველი დისციპლინისაგან განსხვავებით, როგორც ზნეობრივი და პოლიტიკური მოვლენა, უნდა გამომდინარეობდეს შეგნებიდან, ე. ი. იმის სრული გაგებიდან, თუ რა არის დისციპლინა და რისთვის არის იგი საჭირო“ (გვ. 95 — 96).

მაკარენკოს მოძღვრებაში დიდი ადგილი უჭირავს ოჯახური აღზრდის საკითხებს. მან მოგვცა მშობელთა როლისა და ავტორიტეტის შესახებ მთელი რიგი საყურადღებო მითითებანი, რომელთა გატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისათვის. ა. ს. მაკარენკო ოჯახსა და სკოლაში ბავშვთა აღზრდის მთელ პროცესს განიხილავს, როგორც მიზნების მხრივ ერთიან პედაგოგიურ საშუალებათა რთულ სისტემას. ოჯახი და სკოლა ავსებენ და ეხმარებიან ერთმანეთს კომუნისტური აღზრდის საერთო მიზნის მიღწევაში. ამიტომ თითოეული მშობელი კარგად უნდა იცნობდეს პედაგოგიის ზოგად საკითხებს და აღზრდის საბჭოთა იდეებს, რომ პირნათლად მოიხადოს თავისი ვალი ქვეყნის წინაშე. „მუდამ უნდა ვახსოვდეთ, — მიმართავდა

7

მაკარენკო მშობლებს, — რომ თქვენს ოჯახში და თქვენი ხელმძღვანელობით იზრდება მომავალი მოქალაქე, მომავალი მოღვაწე, მომავალი მებრძოლი. თუ თქვენ ცუდ ადამიანს გამოზრდით, ამით შეწუხდებით არა მარტო თქვენ, არამედ მრავალი სხვაც და მთელი ქვეყანაც“ (იხილ. გვ. 305-306).

მაკარენკოს „რჩეული პედაგოგიური თხზულებების“ ქართულ ენაზე გამოცემით საქართველოს სსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა უეჭველად სასარგებლო საქმე გააკეთა.

ქართველ მკითხველ საზოგადოებრიობას ახლა საშუალება აქვს ახლოს გაეცნოს საბჭოთა პედაგოგიკის გამოჩენილი წარმომადგენლის უაღრესად საყურადღებო თეორიულ და პრაქტიკულ შეხედულებებს. ინსტიტუტს განზრახული აქვს უახლოეს მომავალში ქართულ ენაზე გამოსცეს მაკარენკოს დიდმნიშვნელოვანი ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოები „პედაგოგიური პოემა“.

1957
„ქვეყანა“ 1957, №10, გ. 148-153
ა. თოფურია

ა. ჩავლეიშვილი — „კორეელი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის“.

სახელმწიფო გამომცემლობა. 1951



ერთ წელზე მეტია, რაც კორეელი ხალხი გმირულად იბრძვის უცხოელ ინტერვენტების წინააღმდეგ. ლისინმანის მარიონეტული მთავრობის, ამერიკელი იმპერიალისტების და მათი სატელიტი ქვეყნების ჯარები ელეტენ ათასობით უდანაშაულო ადამიანს, წვავენ და ანგრევენ კორეის ქალაქებსა და სოფლებს. ომის გამჩაღებლები ვარაუდობდნენ იოლ და სწრაფ გამარჯვებას, კორეელი ხალხის დამონებას და ჩინეთსა სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ საომარი პოზიციების განმტკიცებას. მაგრამ იმპერიალისტთა გეგმებს განხორციელება არ უწერიათ. ისინი ომის წლის თავზეც კვლავ 38-ე პარალელთან იმყოფებიან, ინტერვენტთა შეიარაღებულ ძალებს გამანადგურებელი დარტყმა აგემა კორეის სახალხო არმიამ ჩინელ მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით.

კორეელი ხალხის ცხოვრებაზე, მათ კეთილშობილურ და სამართლიანი მიზნისათვის ბრძოლაზე მოგვითხრობს ა. ჩავლეიშვილის წიგნი — „კორეელი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის“.

წიგნი თოთხმეტი თავისაგან შედგება. პირველ თავში მოცემულია კორეის სახელმწიფოს ზოგადი ეკონომიური და გეოგრაფიული დახასიათება, გაშუქებულია მოსახლეობის წარმოებისა და მათი ყოფაცხოვრების საკითხები. კორეა მდებარეობს აზიის აღმოსავლეთ ნაწილში, მისი ტერიტორია 220. 740 კვადრატულ კილომეტრს უდრის. კორეა მთავორიანი ქვეყანაა, მდიდარია ძვირფასი მადნეულის საბადოებით. მეტად მრავალფეროვანია კორეის მცენარეთა და ცხოველთა სამყარო. ტყით განსაკუთრებით მდიდარია ჩრდილოეთ კორეა.

ა. ჩავლეიშვილი, ცნობილი საბჭოთა გეოგრაფის ვ. ზაიჩიკოვის, ი. სტრელობცკის, ნ. გარინის და სხვათა მასალების საფუძველზე, სა-

ინტერესო ცნობებს იძლევა კორეელი ხალხის შესახებ. „კორეელი ხალხი მონღოლური წარმოშობისაა. კორეელები რამდენადმე ჩინელებსაც გვანან და იაპონელებსაც, მაგრამ ორივე მათგანისაგან განსხვავდებიან... როგორც სიმაღლით, ისე გარეგნობით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ჩრდილოეთ კორეელები სამხრეთ კორეელებისაგან. სამხრეთ კორეელებისათვის დამახასიათებელია უფრო მკვეთრად გამოსახული მონღოლური ტიპი... ჩრდილოეთ კორეელები რამდენადმე ემსგავსებიან კავკასიელის ტიპს“ (გვ. 10).

კორეა ძველი კულტურის ქვეყანაა. იგი ძველთაგანვე ჩინეთის დიდ გავლენას განიცდიდა. ოფიციალურ დამწერლობად მე-19 საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებამდე ითვლებოდა იეროგლიფური დამწერლობა, რომელიც ჩინეთიდან იყო შემოტანილი. კორეელი დამწერლობა მხოლოდ 1895 წელს გამოცხადდა ოფიციალურ დამწერლობად. „იაპონელი კოლონიზატორები ცდილობდნენ გადაეგვარებინათ კორეელი ხალხი. კორეაში გაბატონებისთანავე მათ სკოლებშიც კი აკრძალეს კორეული ენა, ბავშვებს მხოლოდ იაპონურ ენაზე ასწავლიდნენ, აიძულებდნენ გვარიც კი გამოეცვალათ. მიუხედავად ამისა კორეელებმა ხალხმა მაინც შეინარჩუნა თავისი ენა და დამწერლობა“ (გვ. 13).

კორეა ძირითადად სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. მისი მთელი მოსახლეობის დაახლოებით 80 პროცენტს გლეხობა შეადგენს. მიუხედავად ხელსაყრელი პირობებისა ქვეყნის სოფლის მეურნეობა ვერ ვითარდება, რადგან „გაბატონებული ფეოდალური ურთიერთობა კორეაში არ იძლეოდა სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობას... სახნავ-სათესი მიწების 0,6 ნაწილი იაპონელ პლანტატორებს, კორეელ მემამულეებსა და კულაკებს ეკუთვნო-

დათ“ (გვ. 20). სოფლის მეურნეობა არც იაპონელთა განდევნის შემდეგ გაუმჯობესებულა, ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ სამხრეთ კორეაში, სადაც იაპონელი იმპერიალისტები ამერიკელმა კოლონიზატორებმა შეცვალეს სოფლის მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

სულ სხვა მდგომარეობაა ჩრდილოეთ კორეაში. აქ იაპონელ დამპყრობელთა განდევნის შემდეგ, 1946 წელს განხორციელდა მიწის რეფორმა. ბოლო მოელა მიწათმფლობელობის ფეოდალურ სისტემას. მემამულეებს ჩამოერთვათ მიწები და გლეხობას გადაეცა. „დემოკრატიულმა გარდაქმნებმა და მიწის რეფორმამ, — წერს ავტორი — კორეელი გლეხობის წინაშე თავისუფალი შემოქმედებითი შრომის ფართო ასპარეზი გადაშალა... რეფორმის შემდეგ ჩრდილოეთ კორეაში სოფლის მეურნეობა სწრაფ აღმავლობას განიცდის“ (გვ. 21). ავტორს მოყავს ფაქტიური და ციფრობრივი მასალები იმის ნათესაყოფად, თუ როგორ განვითარდა ჩრდილოეთ კორეის სოფლის მეურნეობა, როგორ გაიზარდა მისი პროდუქცია. სოფლის მეურნეობაში სწორი პოლიტიკის განხორციელების შედეგად რესპუბლიკის მთავრობამ ძირითადად გადაწყვიტა სასურსათო პრობლემა.

გადადის რა მრეწველობის განხილვაზე, ავტორი აღნიშნავს, რომ კორეა წიაღისეულით მდიდარი ქვეყანაა. იქაური ქვანახშირის საბადოები რკინის მადანი, ფერადი ლითონები და დიდძალი ჰიდროენერგეტიკული რესურსები მრეწველობის განვითარების შესაძლებლობას იძლევა. მაგრამ ჩრდილოეთ კორეაში მრეწველობის ნამდვილი განვითარება მხოლოდ იაპონელ ინტერვენტთა განდევნის შემდეგ დაიწყო. სახალხო კომიტეტებმა ჯერ კიდევ 1946 წელს განხორციელეს მრეწველობის ნაციონალიზაცია. 1949 წლის იანვარში კორეის უმაღლესმა სახალხო კრებამ მიიღო ჩრდილოეთ კორეის სახალხო მეურნეობის განვითარების ორწლიანი გეგმა, რომელიც პროდუქციის ზრდასთან ერთად ითვალისწინებდა მრავალი ახალი საწარმოს მშენებლობას. კორეელმა ხალხმა ორწლიანი გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. სამხრეთ კორეაში კი ამერიკელ იმპერიალისტთა თარეშის გამო მრეწველობის განვითარება ჩიხში მოემწყვდა, შემცირდა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება, რამაც თავის მხრივ მოახლეობა ძვირად მდგომარეობაში ჩააყენა. ამის შედეგად „კორეელი ხალხი არაერთგზის დარწმუნდა, რომ სახალხო მეურნეობის ნამდვილი აღმავლობა და მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოების გზით, ამერიკელ იმპერიალისტთა განდევნის შედეგად,

ერთიანი სახალხო მთავრობის ხელმძღვანელობით“ (გვ. 28).

დიდი ინტერესით იკითხება წიგნის ის თავი, სადაც გადმოცემულია კორეელი ხალხის ისტორიული წარსული. „ლეგენდარული გადმოცემით კორეის პირველი სახელმწიფო ჩოსენის სახელწოდებით შეიქმნა მესამე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე... X — XIV საუკუნეებში ქვეყანას განაგებდა კორეოს დინასტია. აქედან წარმოსდგა ქვეყნის სახელწოდება — კორეა“ — წერს წიგნის ავტორი. თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და ბუნების სიმდიდრით კორეა ყოველთვის იქცევა კოლონიზატორთა ყურადღებას. კორეა საუკუნეების განმავლობაში ვასალურ დამოკიდებულებაში იყო ჩინეთთან. კორეის დაპყრობაში ერთმანეთს ეცილებოდა მონღოლები, იაპონელები, მანჯურელები და სხვ. მაგრამ კორეაში ყველაზე მეტად ერთმანეთს ეჯახება იაპონიისა და ჩინეთის ინტერესები. იაპონია ყოველგვარ ხრიკებს მიმართავდა შეესუსტებინა ჩინეთის გავლენა კორეაში და განეხორციელებინა კორეის სრული დამონების გეგმა. მას შემდეგ რაც იაპონელმა იმპერიალისტებმა შესძლეს კორეის საკითხში ჩინეთის წინააღმდეგობის დაძლევა, მთავარ მოწინააღმდეგედ ამერიიდან გამოდის რუსეთი, რომელიც დაპყრობით პოლიტიკას ახორციელებდა შორეულ აღმოსავლეთში. ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოები მზარს უჭერდნენ და აქეზებდნენ იაპონიას კორეის დაპყრობაში.

1904-5 წლების რუსეთ-იაპონიის ომში დამარცხდა მეფის რუსეთი. მაგრამ იაპონიამ მხოლოდ 1910 წელს შესძლო საბოლოოდ კორეელი ხალხის დამონება. დაახლოებით ორმოცი წლის განმავლობაში იმყოფებოდა კორეელი ხალხი იაპონელ დამპყრობთა უღლის ქვეშ. კორეა იარაღით ხელში იბრძოდა უცხოელთა წინააღმდეგ, მაგრამ კორეელი ხალხის ყველა გამოსვლა მარცხით მთავრდებოდა. მიუხედავად ამისა გმირი ხალხი ბრძოლას განაგრძობდა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოებისათვის.

ავტორი გვიჩვენებს თუ რა დიდი გავლენა მოახდინა კორეელ ხალხზე ოქტომბრის რევოლუციამ. საბჭოთა ქვეყნის მშრომელების მაგალითმა კორეელ ხალხს განუმტკიცა მტერზე გამარჯვების რწმენა. მათი ბრძოლაში ხელმძღვანელ როლს ასრულებდა კომუნისტური პარტია, რომელიც 1925 წელს შეიქმნა.

წიგნში მოკლედ მოთხრობილია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის, შრომის პარტიის თავმჯდომარის და სახალხო არმიის მთავარსარდლის — კიმ ირ სენის ცხოვრების შესახებ. კიმ ირ სენი დაიბადა 1912 წელს სოფლის მასწავლებლის